



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

საპროტესტო აქციები ნაწილობრივი მოზილიზაციის
წინააღმდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში – ზოგადი მიმოხილვა

ალექსანდრა კვანახია

196

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ალექსანდრე კვახაძე

საპროტესტო აქციები ნაწილობრივი მობილიზაციის
წინააღმდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში – ზოგადი მიმოხილვა

196

2023



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო
ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2023 წელი

ISSN 1512-4835

ISBN

21 სექტემბერს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ერისადმი დიდხანს ნალოდინარ თავის მიმართვაში ნაწილობრივი მობილიზაცია გამოაცხადა, რის შედეგადაც სამხედრო სამსახური დაახლოებით 300,000 მამაკაცს შეეხო. ეს ბრძანება პირველ რიგში გავრცელდა სამხედრო გამოცდილებისა თუ შესაბამისი პროფესიის მქონე ადამიანებზე¹, თუმცა იყო გამოუცდელი და არამოტივირებული მოქალაქეების მობილიზების შემთხვევებიც.² ნაწილობრივი მობილიზების მთელი პროცესის მიზანია დაეხმაროს უკრაინაში არსებულ შეიარაღებულ დანაყოფებს, რომლებსაც მძიმე დანაკარგები აქვთ, ასევე – მონინალმდევგესთან რაოდენობრივი უპირატესობის შენარჩუნებას. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონების მიხედვით მობილიზებული ადამიანების ზუსტი რაოდენობა საჯაროდ არ გამოცხადებულა, ბევრს სჯერა, რომ მობილიზაციამ არაპროპორციულად დააზარალა რუსეთის არაერთი განვითარებადი და პერიფერიული პროვინცია, განსაკუთრებით, მუსლიმებით დასახლებული ჩრდილოეთი კავკასია. მართალია, მობილიზაციის საწინააღმდეგო აქციები რუსეთის 50-ზე მეტ ქალაქში გაიმართა, მაგრამ ყველაზე სასტიკი და წინააღმდეგობრივი მოვლენები ჩრდილოეთ კავკასიაში განვითარდა.³ წინამდებარე სტატიაში ჩვენ მიმოვიხილავთ მობილიზაციის საწინააღმდეგოდ რეგიონში განვითარებულ საპროტესტო მოვლენებს, გავანალიზებთ ქვეყნისა და რეგიონის მასშტაბით მათ ხელშემწყობ ფაქტორებს და განვიხილავთ საპროტესტო აქტივიზმის სამომავლო ტენდენციებს.

დაღესტანი

ყველაზე მასშტაბური და, ალბათ, ყველაზე არასტაბილური დემონსტრაციები გაიმართა დაღესტნის რესპუბლიკაში. პირველი საპროტესტო დაიწყო სოფლებში. ხასავიუტის რაიონის სოფელ ენდირეის დაახლოებით 110 მაცხოვრებელმა გადაკეტა ფედერალური გზატკეცილი, რომელიც დაღესტანს ჩეჩნეთთან აკავშირებს. მიუხედავად იმისა, რომ სპეცრაზმმა (გზის განბლოკვის მიზნით) აქციის მონაწილეებს ულტიმატუმი წაუყენა და რამდენჯერმე გაისროლა კიდეც, მათ (აქციის მონაწილეებმა) მაინც უარი თქვეს გზის განთავისუფლებაზე.⁴ ამავე ტიპის საპროტესტო აქციები გაიმართა ბაბაიურტის რაიონის ზოგიერთ სოფელშიც.⁵

სოფლებში გამართულ დემონსტრაციებს მოჰყვა შეხვედრები რესპუბლიკის დედაქალაქ მაჰაჩყალაში. 25 სექტემბერს ადგილობრივი აქტივისტების ჯგუფი, რომელიც, ძირითადად, შუა ხნის ქალებისა და ახალგაზრდა მამაკაცებისგან შედგებოდა, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მობილიზების პროცესის გასაპროტესტებლად გამოვიდა. საპროტესტო აქციებს ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოები გამოეხმარუნენ, რასაც მოჰყვა მასობრივი დაპატიმრება და აქციის მონაწილეებთან შეტაკება⁶. დააკავეს რამდენიმე ცნობილი ადგილობრივი აქტივისტი, მათ შორის, ჟურნალისტები იდრის იუსუპოვი და სერგეი აინბინდერი. მაჰაჩყალაში მომხდარს გამომხაურება მოჰყვა დაღესტნის

სიდიდით მესამე ქალაქ ხასავურტში, რომლის ადგილობრივი მოსახლეობაც მობილიზაციის პროცესის წინააღმდეგ გამოვიდა. 27 სექტემბრისთვის საპროტესტო ტალღა შედარებით შემცირდა და მანამდე დაკავებული აქციის მონაწილეებიც გაათავისუფლეს.⁷

დაღესტანში გამართული საპროტესტო აქციების თავისებურება ისაა, რომ ამ აქციების მონაწილეებს ლიდერები არ ჰყოლიათ. მიუხედავად ადგილობრივი ხელისუფლების მცდელობისა, რომ მოსახლეობისთვის საპროტესტო მოძრაობა წარმოედგინა, როგორც მოვლენა, რომელსაც მართავდნენ „ქვეყნის მტრები უკრაინიდან“ ან „ემიგრაციაში მყოფი საერთაშორისო ტერორისტები“, დემონსტრაციებს არავინ ხელმძღვანელობდა.⁸ თუმცა, Telegram-ის არხი „Утро Дагестана“ („დაღესტნის დილა“) აცხადებდა, რომ პასუხისმგებელი იყო დემონსტრაციაზე და აქვეყნებდა ინსტრუქციას, თუ როგორ უნდა ამოედოთ მიზანში დემონსტრანტებს დაღესტნის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურა (მაგ., ფედერალური გზატკეცილები იქ დათებული კოცონით გადაეკეტათ), ფართო აუდიტორიამ დიდწილად უგულებელყო ეს მოწოდებები.⁹

მაჰაჩყალაში გამართულმა აქციებმა ადგილობრივ ხელისუფლებას განგაშის სიგნალი გაუგზავნა. მაგალითად, მოსკოვის მომხრეებმა, როგორცაა, კერძოდ, დაღესტნის მუსლიმთა სულიერი სამმართველოს ხელმძღვანელის მეუღლე აინა ჰამბატოვა, გაავრცელეს განცხადება, სადაც პრეზიდენტ პუტინს სთხოვეს გადაედო მობილიზაცია დაღესტნის რესპუბლიკაში და მიეცა ექვსი თვე წვევამდელთა სათანადოდ გასაწვრთნელად.¹⁰ ამ განცხადებას მოჰყვა დაღესტნის რესპუბლიკის მეთაურის სერგეი მელიკოვის მიმართვა, სადაც ის აკრიტიკებდა რეგიონში ჩატარებული რეკრუტირების მეთოდებს.¹¹

ნაწილობრივი მობილიზაცია დაღესტნისთვის მეტად მგრძობიარე და მტკივნეული საკითხია. მობილიზაციის პირველი ტალღის დროს დაღესტნის სამათასზე მეტი მაცხოვრებელი გაიწვიეს.¹² ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, დაღესტანი არა მხოლოდ რუსეთის შეიარაღებული ძალების ცოცხალი ძალის ერთ-ერთი ყველაზე დიდი კონტრიბუტორია, არამედ მას, რუსეთის სხვა რეგიონებთან შედარებით, ყველაზე მეტი დაღუპულიც ჰყავს.¹³

დაღესტანში მიმდინარე საპროტესტო აქციები შეიძლება აიხსნას რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული სავარაუდო ფაქტორით. უპირველეს ყოვლისა, ეს არის რეგიონის კულტურული სენსიტიურობა და სოციალური სტრუქტურა. დაღესტანი, როგორც მრავალეთნიკური რესპუბლიკა, დასახლებულია 20-ზე მეტი ეთნოლინგვისტური ჯგუფით, რომელთაც ეთნიკური იდენტობის ძლიერი გრძობა და დიდძალი ნათესაური კავშირები აქვთ. ათწლეულების მანძილზე არსებულმა არასტაბილურმა სიტუაციამ და კონტრაჯანყების ოპერაციების დროს ადამიანთა დიდმა დანაკარგებმა ღრმა კვალი დატოვა ადგილობრივ საზოგადოებაზე. ამგვარად, უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომში დაღუპულთა დიდი რაოდენობა დაღესტნელებს ხელახლა ახსენებს ძველ იარებს და

უმდაფრებს ისტორიულ ტრავმას. მეორე, დადესტინის ზოგ სოფელში საპროტესტო გამოსვლები ეთნიკური ხასიათისაა, რადგან აქციები იმართებოდა რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რომელიც ყუმბისებით იყო დასახლებული. ეთნიკური ყუმბისი აქტივისტები მიიჩნევენ, რომ მათი ეთნიკური საზოგადოება არაპროპორციულად ამოიღო მიზანში ადგილობრივმა ადმინისტრაციამ, რომელიც (ადმინისტრაცია) ძირითადად ხუნძებისგან შედგება და მოიცავს იმ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან განვევაზე.¹⁴ მესამე – მიმდინარე დემოგრაფიული და ეკონომიკური ტენდენციები დალესტანში. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის პროვინციების უმრავლესობაში ასაკოვანი მოსახლეობის სიჭარბე და მოსახლეობის რიცხოვნობის კლებაა, დალესტანში შობადობის მაღალი მაჩვენებელია, რომელიც ბევრად აღემატება ჩანაცვლების დონეს. გარდა ამისა, რესპუბლიკის დედაქალაქი მაჰაჩყალა არის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ურბანული ადგილი რუსეთის ფედერაციაში. მეორე მხრივ, უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლით დალესტანი რუსეთის უღარიბეს რეგიონებს შორისაა. შესაბამისად, ასეთი სოციალურ-ეკონომიკური პირობები განსაზღვრავს ახლად ურბანიზებული უმუშევარი ახალგაზრდების უდიდეს წილს. ისეთი სოციალური მოძრაობები და მოვლენები, როგორიცაა „არაბული გაზაფხული“, აჩვენებს, რომ ასეთი სოციალურ-დემოგრაფიული ლანდშაფტი ნაყოფიერ ნიადაგს უქმნის საპროტესტო მოძრაობებს.

ჩეჩნეთი

მოულოდნელი იყო, რომ მობილიზაციის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციები ჩეჩნეთსაც გადასწვდა, სადაც ადგილობრივი ხელისუფლება ცნობილია თავისი შეუნყნარებლობით ყველა ამგავრი მოვლენის მიმართ. ჩეჩნური სოციალური მედიის რამდენიმე პლატფორმა მოუწოდებდა ჩეჩენ დედებს შეერთებოდნენ 21 სექტემბერს დაგეგმილ მობილიზაციის საწინააღმდეგო აქციას გროზნოს ცენტრალურ მეჩეთში. თუმცა, ადგილობრივმა ადმინისტრაციამ გარკვეული პრევენციული ზომები მიიღო და პოლიციის კორდონებმა მეჩეთის ტერიტორიას ალყა შემოარტყეს, რითაც ხალხის მასობრივ შეკრებას შეუშალეს ხელი.¹⁵ იმავე დღეს დააკავეს აქციაზე მიმავალი რამდენიმე ქალი. ჩეჩნეთის ხელმძღვანელმა რამზან კადიროვმა დაადასტურა ქალების დაკავების ფაქტი და აღნიშნა, რომ გაიმართა დიალოგი ადგილობრივ ხელისუფლებასა და აქციის ზოგიერთ პოტენციურ მონაწილეს შორის. კადიროვის თქმით, ამ აქციის მონაწილეებს შორის იყო 20 ქალი და მათგან სამის ვაჟები რუსულ შეიარაღებულ ძალებში უკრაინის წინააღმდეგ იბრძოდნენ. თავის მხრივ, კადიროვმა გააფრთხილა რესპუბლიკის მოსახლეობა, რომ თავი შეიკავონ ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციებისგან. მან აქციის ორგანიზატორებს „ხალხის მტრები“ უწოდა და დაემუქრა, რომ უკრაინაში საბრძოლველად გაგზავნიდა.¹⁶ მეორე მხრივ, გააცნობიერა რა ჩეჩნეთიდან მშვიდობიანი მოსახლეობის არანე-ბაყოფლობით მობილიზებასთან დაკავშირებული პოტენციური შედეგები, კადი-

როგმა თავი შეიკავა მობილიზაციის მხარდამჭერი განცხადებებისგან. როგორც მან თქვა, ჩეჩნეთის რესპუბლიკამ ომის დაწყებისთანავე დაიწყო ნაწილობრივი მობილიზაცია და რუსეთის სხვა რეგიონებთან შედარებით, უფრო დიდი წვლილი შეიტანა ამ საქმეში. კადიროვის სიტყვებს ადასტურებს მრავალი ცნობა ჩეჩნეთის ზოგიერთი მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ძალისმიერი მობილიზაციის შესახებ, კერძოდ, საჯარო მოხელეების, ბანკის ვალის მქონე პირებისა თუ სისხლის სამართლის მსჯავრდადებულების შესახებ.¹⁷

მცირე მასშტაბის საპროტესტო მცდელობებთან შედარებით, ევროპაში ჩეჩნურმა დიასპორამ უფრო ხმამაღლა გამოხატა უკმაყოფილება კადიროვის პოლიტიკის მიმართ. კადიროვს ძირითადად აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ იგი განვეულ მამაკაცებს „საზარბაზნე ხორცად“ აღიქვამდა. ზოგიერთმა აქტივისტმა წამოჭრა საკითხი, რომ ჩეჩნეთის ელიტა შეზღუდული რაოდენობით იყო წარმოდგენილი ბრძოლის ველზე. Telegram-ის არხების მთელი რიტორიკა ხალხს ეუბნებოდა: „მაშინ, როდესაც თქვენი შვილები უკრაინაში იხოცებიან, კადიროვის ვაჟები სასახლეებში ცხოვრობენ“.¹⁸ ამ ბრალდებების პასუხად, კადიროვმა გამოაცხადა, რომ უკრაინაში საბრძოლველად თავისი სამი მოზარდი ვაჟი – ელი, ადამი და ახმატი გაგზავნა, რომელთაგან ყველაზე უმცროსი 14 წლის იყო.¹⁹ მიუხედავად კადიროვის მტკიცებისა, რომ მისმა ვაჟებმა წვლილი შეიტანეს ომში, მათი იქ მონაწილეობის დამადასტურებელი არანაირი მტკიცებულება არ არსებობს.

ეს მცირე მასშტაბის საპროტესტო აქციებიც კი საკვირველია, თუკი გავითვალისწინებთ, რომ კადიროვის ადმინისტრაცია უმონყალოდ ახშობს არასახელმწიფოებრივი აქტივიზმის ნებისმიერ მცდელობას, არ აქვს მნიშვნელობა, იქნება ეს მშვიდობიანი თუ ძალადობრივი აქცია. მიუხედავად ამისა, არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რაც ხსნის გროზნოში საპროტესტო აქციების მცდელობებს. უპირველეს ყოვლისა, ტრადიციულად პატრიარქალური ჩეჩნური კულტურა არ აქებებს ქალების მიმართ ძალადობის გადამეტებულ გამოყენებას, განსაკუთრებით, თუ საქმე ასაკოვან ქალებს ეხება. ვინაიდან აქციის ორგანიზატორები იყვნენ მობილიზებული სრულწლოვანი მამაკაცების დედები, ადგილობრივი ხელისუფლება მხოლოდ გაფრთხილებითა და მუქარით შემოიფარგლა. მეორე, უკრაინის ომი ამდაფრებს ორი ჩეჩნური ომის ტრავმულ გამოცდილებას, როდესაც ეთნიკურ ჩეჩნებს მშვიდობიანი მოსახლეობის უზარმაზარი დანაკარგი ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ ჩეჩენი ოფიციალური პირები არ ასახელებენ დალუპული კადიროვებისა და მობილიზებული ქვეითი ჯარისკაცების ზუსტ რაოდენობას, სოციალური მედიის პლატფორმებმა გამოავლინა მოსკოვის მხარდამჭერი ჩეჩენი მეტრძოლების დალუპვის 100-ზე მეტი დადასტურებული ფაქტი. ჩეჩნური საზოგადოება კი მტკივნეულად რეაგირებს თავისი ახალგაზრდების დიდი რაოდენობით დალუპვაზე.

ჩეჩნეთში დემონსტრაციების მცდელობები და კადიროვის შერბილებული რიტორიკა ცხადყოფს, თუ რამდენად მგრძობიარეა მობილიზაციის თემა ჩეჩნური საზოგადოებისთვის. რუსეთის უკრაინაში შეჭრის გასამართლებელი პროექტიული საინფორმაციო კამპანიის მიუხედავად, ჩეჩნეთის მოსახლეობა დიდ

ენტუზიაზმს არ იჩენს პუტინის სამხედრო კამპანიის მხარდასაჭერად. გარდა ამისა, ჩეჩნური საზოგადოებისთვის უცხო მიწაზე ახალგაზრდების დალუპვა აცოცხლებს ომის ტრავმებსა და ქრილობებს. ამრიგად, უკრაინაში ჩეჩენი წვევამდებლების მსხვერპლის შემდგომი გაზრდის შემთხვევაში, რესპუბლიკაში საპროტესტო გამოსვლები შეიძლება კიდევ უფრო ხმამაღალი გახდეს.

ჩრდილოეთი ოსეთი

ჩრდილოეთი ოსეთი რჩება რუსეთის შეიარაღებულ ძალებში ცოცხალი ძალის ერთ-ერთ ყველაზე დიდ კონტრიბუტორად. რუსულ ჯარში მსახურება და სამხედრო კარიერის კეთება იქ დიდი ხნის ტრადიციაა და ოსურ საზოგადოებაში პრესტიჟულადაც მიიჩნევა. კავკასიის სხვა რეგიონებთან შედარებით, ოსური საზოგადოება იშვიათად ერთვება დაპირისპირებაში ფედერალურ ცენტრთან. მიუხედავად ამისა, უკრაინის ომმა ოსეთშიც გამოიწვია სამოქალაქო აქტივისტების მობილიზება. თუმცა აქვე უნდა დავძინოთ, რომ ოსური აქტივიზმი იყო პასუხი რუსეთ-საქართველოს საზღვარზე არსებულ ჰუმანიტარულ ვითარებაზე და არ ყოფილა რაიმე ანტისაომარი განწყობის გამოხატულება.

მობილიზაციის შესახებ პუტინის დეკრეტმა გამოიწვია ასობით ათასი სამხედროვალდებული რუსი მამაკაცის მასობრივი გასვლა ქვეყნიდან. რუსეთის მოქალაქეებისთვის ევროკავშირის ქვეყნების გამკაცრებული სავიზო პოლიტიკისა და სწრაფად მზარდი ფრენის ხარჯების გამო რუსი ემიგრანტების უმრავლესობამ ქვეყნიდან გაქცევა სახმელეთო საზღვრის გადაკვეთის გზით გადაწყვიტა. საქართველო იყო ერთ-ერთი ყველაზე სასურველ მიმართულებათა შორის და რადგან ლარსის სასაზღვრო პუნქტი ერთადერთი ლეგალურად მოქმედი მარშრუტი იყო რუსეთ-საქართველოს საზღვრის გაყოლებაზე, ჩრდილოეთ ოსეთის მთიან მაგისტრალებზე რამდენიმეკილომეტრიანი საცობები შეიქმნა. ამ გრძელ რიგში ჩარჩენილ რუსულ ოჯახებს ისეთი საარსებო საშუალებების დიდ უკმარისობა გაუჩნდათ, როგორცაა წყალი და საკვები.²⁰ რამდენიმე დღის განმავლობაში ჩრდილოეთ ოსეთის მოხალისეთა ჯგუფი მოქმედებდა საქართველოს სამხედრო გზის მიდამოებში და ურიგებდა საკვებსა და სხვა საჭირო ნივთებს საარსებო საშუალებების გარეშე დარჩენილ ხალხს. მოგვიანებით სოლიდარობის აქციას დამოუკიდებლად შეუერთდა ინგუშ მოხალისეთა მცირე ჯგუფიც.²¹ გარდა ამისა, ჩეჩენი, ინგუში და დაღესტნელი აქტივისტების ჯგუფი ცდილობდა დახმარებოდა ჩრდილოეთ კავკასიის მაცხოვრებლებს, რომლებიც საქართველო-რუსეთის საზღვრის ნეიტრალურ ზონაში იყვნენ ჩარჩენილი, ან მათ, ვისაც ქართულმა სასაზღვრო პოლიციამ ქვეყანაში შესვლაზე უარი უთხრა.

ჩრდილოეთ ოსეთში მობილიზაციის საწინააღმდეგო პროტესტის არარსებობა არ აიხსნება საზოგადოების მხრიდან პუტინის ძალისხმევის მხარდაჭერით. ოსური Telegram-ის დიდი არხების მომხმარებლები, როგორცაა @iron_bonvarnon და @ossetiaFB, აქტიურად გამოთქვამდნენ პრეტენზიებს დალუპული ოსი ჯარისკაცების

რაოდენობის გამო. ისინი ოსი კაცების მასობრივ მობილიზაციას აღიქვამენ, როგორც გარდაუვალ საფრთხეს მცირე და გადაშენების პირას მყოფი ეთნიკური ჯგუფისთვის. მიუხედავად იმისა, რომ არც მოსკოვთან აქვთ დაპირისპირება და რესპუბლიკაშიც სიმშვიდეა, ჩრდილოეთ ოსეთის საზოგადოება შეშფოთებულია მიმდინარე მოვლენებით და მობილიზაციის პოტენციალიც იგრძნობა. აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკაში არ აქვთ საპროტესტო კოლექტიური მოქმედების გამოცდილება. ვლადიკავკაზში ელექტრონიკის ქარხნის წინააღმდეგ გარემოს დამცველთა პროტესტი ფარული საპროტესტო პოტენციალის ნათელი მაგალითია.²² საგულისხმოა, რომ დაღუპულთა დიდმა რაოდენობამ შეიძლება რუსეთის ჯარში კარიერის გაკეთების პრესტიჟულობაც შეარყიოს.

ყაბარდო-ბალყარეთი

ომის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციები გაიმართა ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკაშიც. 25 სექტემბერს რესპუბლიკის დედაქალაქ ნალჩიკში მობილიზებული მამაკაცების ნათესავებისგან – 100 ქალისგან შემდგარმა ჯგუფმა მობილიზაციის წინააღმდეგ აქცია გამართა. ყაბარდო-ბალყარეთის ადგილობრივი ადმინისტრაცია, მეზობელი რესპუბლიკებში საპროტესტო მოვლენებისგან განსხვავებით, დემონსტრანტებთან დაპირისპირების ნაცვლად, მათთან დალაპარაკებას შეეცადა, თუმცა დიალოგის ამ მცდელობაზე ქალების რეაქცია იყო უხეში და უარყოფითი. ქალებმა შემდეგი შინაარსის ფრაზები თქვეს: „თუნდაც მესროლო, არ მოგცემ ჩემთვის ქმრის წართმევის უფლებას!“, „ვინმე თავს დაგვესხა? უკრაინა ჩვენთან არ შემოჭრილა!“ და „ის მამაკაცები, ვინც ვერ იცავენ ჩვენს შვილებს ამისგან (ომისაგან), ღირსები არიან კაბა ეცვათ!“ ნალჩიკში შექმნილი ვითარების პარალელურად, რესპუბლიკის პროვინციულ ქალაქ ბაქსანის ცენტრალურ მოედანზე მობილიზაცია რამდენიმე ასეულმა ადგილობრივმაც გააპროტესტა. ადგილობრივი პოლიციის ძალები აქციის მონაწილეებს არ დაუპირისპირდნენ და არავინ დაუკავებიათ.²³

დაღესტნისა და ჩეჩნეთის მსგავსად, მრავალეთნიკური ყაბარდო-ბალყარეთის მაცხოვრებლებიც მობილიზაციას დემოგრაფიისთვის უაღრესად საზიანოდ აღიქვამენ. ჩერქეზებმა, რომლებიც წარმოადგენენ რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობას, მე-19 საუკუნეში, რუსეთის მიერ ქვეყნის დაპყრობის შედეგად, უკვე დაკარგეს თავიანთი თავდაპირველი მოსახლეობის 80%-ზე მეტი და, შესაბამისად, შფოთავენ შემდგომი ადამიანურ დანაკარგების გამო. გარდა ამისა, ჩეჩნეთის, დაღესტნისა და ინგუშეთისგან განსხვავებით, ყაბარდო-ბალყარეთში შობადობის დაბალი მაჩვენებელია, რასაც თან ახლავს ადგილობრივი მოსახლეობის მზარდი მიგრაცია რუსეთის სხვადასხვა მხარეში.²⁴ ყველა ეს ფაქტორი, ერთად აღებული, რესპუბლიკაში მობილიზაციის საწინააღმდეგო განწყობების გაღვივებას იწვევს.

ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რესპუბლიკები

ინგუშეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთისა და ადიღეს რესპუბლიკებში საპროტესტო აქციები არ დაფიქსირებულა. ინგუშეთის პასიურობა შეიძლება აიხსნას ადგილობრივი სამოქალაქო აქტივისტების დალილობით, რაც გამოიწვია ინგუშეთის ტერიტორიების მეზობელი ჩეჩნეთისთვის გადაცემის წინააღმდეგ გამართული პროტესტის წარუმატებლობამ. ბევრი ადგილობრივი ლიდერი, ვისაც შეეძლო საპროტესტო ღონისძიებების ორგანიზება, ან უკვე დააკავეს, ან გაიქცა რუსეთის ფედერაციაში. ყარაჩაი-ჩერქეზეთსა და ადიღეში კი დემონსტრაციების არარსებობა შეიძლება აიხსნას მათი შედარებით სუსტი სამოქალაქო საზოგადოებითა და პროტესტის გამოცდილების ნაკლებობით.

დასკვნა

ჩრდილოეთ კავკასიაში გამართულმა ბოლოდროინდელმა საპროტესტო აქციებმა მიზნებს ვერ მიაღწია – ვერ შეძლეს ხელი შეეშალათ ადგილობრივი (მამრობითი სქესის) მოსახლეობის მობილიზაციისთვის. ამ კოლექტიური ძალისხმევის ერთადერთ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს განვევის სტრატეგიის მორგება მუნიციპალურ დონეზე. მიუხედავად ამჟამინდელი საპროტესტო განწყობებისა, ადგილობრივ სოციალურ მოძრაობებს არ შეუძლიათ იმოქმედონ არსებულ status quo-ზე და გავლენა მოახდინონ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, როგორც ფედერალურ, ისე ადგილობრივ დონეზე. ადგილობრივ აქტივისტებს არ შეუძლიათ კონკურენცია გაუწიონ ადგილობრივი უსაფრთხოების აპარატის მნიშვნელოვან უპირატესობას. უფრო მეტიც, ყველა საპროტესტო ღონისძიებას აკლდა რესურსების მობილიზებაზე პასუხისმგებელი ორგანოები, საინფორმაციო კამპანიები და ქსელის ორგანიზებულობა. აქედან გამომდინარე, ჩრდილოეთ კავკასიის საზოგადოებას არ აქვს დიდი მოლოდინი, რომ საპროტესტო აქციებით წარმატებას მიაღწევს და ეს დემონსტრაციები შეიძლება გავიგოთ, როგორც პროტესტის გამომხატველი, სპონტანური, სასოწარკვეთილი ქმედებები და არა, როგორც კარგად ორგანიზებული მოვლენები.

ომის სანაღმდეგო პროტესტმა კავკასიაში, რეგიონის მრავალეთნიკურ საზოგადოებებში, რამდენიმე თვალსაჩინო ტენდენცია გამოავლინა. უპირველესი და ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი – ჩრდილო კავკასიელ ხალხებში საპროტესტო განწყობების არსებობა. მიუხედავად პოლიტიკური ცხოვრების არარსებობისა და ადგილობრივი უშიშროების სამსახურების დიდი ზენოლისა, საპროტესტო აქციები გაიმართა რამდენიმე რესპუბლიკაში, მათ შორის – ჩეჩნეთში. მეორე, გავრცელებული მოსაზრების საპირისპიროდ, რომ თითქოს ჩრდილოეთ კავკასიაში ქალები „ჩაგრული“ და „სოციალურად პასიურები“ არიან, ქალებმა აჩვენეს უნარი იყვნენ საპროტესტო მოვლენების სათავეში. ქალების ეს აქტივიზმი ცხადყოფს, რომ მათი

როლი თანამედროვე ჩრდილოეთ კავკასიაში დამატებით გამოკვლევას მოითხოვს. დაბოლოს, პოლიტიკური ლიდერების არყოფნის ფონზე, ადგილობრივი ტრადიციული ქსელები ცენტრალურ როლს ასრულებენ ლიდერის გარეშე დემონსტრაციების ორგანიზებასა და მართვაში. ცნობილია, რომ კლანები, გაფართოებული ოჯახები და რელიგიური საძმოები შეიძლება იყოს მობილიზაციის ეფექტური ინსტრუმენტი კავკასიაში. მსგავსი დინამიკა შეიმჩნეოდა ინგუშეთში საპროტესტო მოვლენების დროს. საერთო ჯამში, ომის წინააღმდეგ მიმართული ბოლო საპროტესტო აქციები ცხადყოფს, რომ რეგიონში საპროტესტო მოძრაობების დაწყების ყველაზე მძლავრი ხელშემწყობი ფაქტორია ადგილობრივი მოსახლეობის ღირსება და სიცოცხლე და არა – სიღარიბე და პოლიტიკური განხილვები.

შენიშვნები

1. მ. კანსიანი (2022). „*ჩას ნიშნავს ხუსეთის „ნაწილობრივი მობილიზაცია“ სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრი (CSIS)*“. იხ.: <https://www.csis.org/analysis/what-does-russias-partial-mobilization-mean>
2. „Слово і Діло“ (სიტყვა და საქმე) (2022). „*РФ Направила Неопытных Мобилизованных в Лиман*“ (რუსეთის ფედერაციამ ლიმანში გაგზავნა გამოუცდელი მობილიზებული ჯარისკაცები). იხ.: <https://ru.slovoidilo.ua/2022/09/29/novost/obshhestvo/rf-napravila-neopytnyx-mobilizovannyh-liman-dva-semi-tankov-popali-dtp>
3. რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლება RFERL (2022). „*ხუსეთი აგძელებს მობილიზაციის საწინააღმდეგო მზახი საპროტესტო აქციების დახმევას, ხაგვან პეხვიდენგის ექვეტის კხიტკა იხიება*“. იხ.: <https://www.rferl.org/a/russia-protests-mobilization-ukraine-war/32052011.html>
4. „Кавказ.Реалии“ (2022) „*Жители Дагестанского Села Протестуют Против Мобилизации, Полиция Стреляет в Воздух*“ („დაღესტნის სოფლის მოსახლეობა გამოდის მობილიზაციის წინააღმდეგ, პოლიცია პაერში ისვრის“). იხ.: <https://www.kavkazr.com/a/zhiteli-dagestanskogo-sela-protestuyut-protiv-mobilizatsii-politsiya-strelyaet-v-vozduh/32051222.html>
5. „7x7“ „*Горизонтальная Россия*“ (2022). „*Дагестанцы Перекрыли Дороги В знак Протеста Против Мобилизации*“ („დაღესტნელებმა მობილიზაციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გზები გადაკეტეს“). იხ.: <https://semnasem.org/news/2022/09/22/dagestancy-perekryli-dorogu-v-znak-protesta-s-mobilizaciej>
6. „Новости — Meduza“ (2022). „*Женщины в Дагестане и Других Регионах Вышли Протестовать Против Мобилизации*“ (ქალები დაღესტანში და სხვა რეგიონებში მობილიზაციის წინააღმდეგ გამოვიდნენ). იხ.: <https://meduza.io/en/feature/2022/09/26/women-in-dagestan-and-other-regions-protest-mobilization>
7. „Кавказский Узел“ (2022). „*Идрис Юсупов и Сергей Айнбиндер отпущены из полиции Махачкалы*“ (იდრის იუსუპოვი და სერგეი აინბინდერი მაჰაჩყალის პოლიციის განყოფილებიდან გაათავისუფლეს). იხ.: <https://www.kavkaz-uzel.eu/articles/381548/>
8. „Кавказский Узел“ (2022). „*სოციალური მედიის მომხმარებლები აღაშფოთა მელიკოვის სტყევებმა აქციების დასავლელი ორგანიზატორების შესახებ*“. იხ.: <https://www.kavkaz-uzel.eu/articles/381527/>
9. „Новости — Meduza“ (2022). „*Женщины в Дагестане и Других Регионах Вышли Протестовать Против Мобилизации*“ (ქალები დაღესტანში და სხვა რეგიონებში მობილიზების წინააღმდეგ გამოვიდნენ). იხ.: <https://meduza.io/feature/2022/09/25/zhenschiny-v-dagestani-drugih-regionah-vyshli-protestovat-protiv-mobilizatsii>
10. „Кавказский Узел“ (2022). „*Жена муфтия Дагестана попросила Путина отложить мобилизацию в республике*“ („დაღესტნის მუფთის მეუღლემ პუტინს რესპუბლიკაში მობილიზაციის გადადება სთხოვა“). იხ.: <https://www.kavkaz-uzel.eu/articles/381611/>
11. Аргументы и Факты: новости России и мира (AIF) (2022). Меликов: „*Мобилизация в Дагестане в ближайшее время будет завершена*“ (მელიკოვი: მობილიზაცია დაღესტანში მალე დასრულდება). იხ.: https://dag.aif.ru/society/melikov_mobilizaciya_v_dagestane_v_blizhayshee_vremya_budet_zavershena
12. <https://www.kavkazr.com/a/iz-dagestana-v-ukrainu-otpravili-bole-ree-tsyach-mobilizovannyh-i-dobrovoljsev-dannye-vlastey/32085497.html>

13. BBC News (2022). “Смертность Российских военных в Украине: Действительно ли этнические меньшинства погибают чаще?” (რუსი სამხედროების სიკვდილიანობა უკრაინაში: ნამდვილად უფრო ხშირად იხოებიან ეთნიკური უმცირესობები?). იხ.: <https://www.bbc.com/russian/features-63416259>
14. Azattyq (2022). “ „Неизбежный“ конфликт: кремлевская мобилизация приводит к обострению этнической напряженности в Дагестане” („გარდაუვალი“ კონფლიქტი: კრემლის მობილიზაცია ინვევს ეთნიკურ დაძაბულობას დაღესტანში). იხ.: <https://rus.azattyq.org/a/neizbezhnyy-konflikt-kremlevskaya-mobilizatsiya-privodit-k-obostreniyu-etnicheskoy-napryazhennosti-v-dagestane/32059552.html>
15. „Кавказ.Реалии“ (2022). “Чеченские матери против мобилизации” („ჩეჩენი დედები მობილიზაციის წინააღმდეგი“). იხ.: <https://www.kavkazr.com/a/chechenskie-materi-protiv-mobilizatsii-itogi-nedeli/32047463.html>
16. „Кавказский Узел“ (2022). “Кадыров Объявил Врагами Народа Противников Мобилизации” (კადროვმა მობილიზაციის მონაწილეებები ხალხის მტრებად გამოაცხადა). იხ.: <https://www.kavkaz-uzel.eu/articles/381352/>
17. Accent News (2022). “Чеченские блогеры рассказали о принудительной отправке на войну” (ჩეჩენი ბლოგერები ომში იძულებით გაგზავნის შესახებ იუწყებიან). იხ.: <https://accentnews.ge/ru/article/67345-chechenskie-blogery-rasskazali-o-prinuditelnoi-otpr>
18. YouTube (2022). “Как брат Кадырова воюет в Украине” (როგორ იბრძვის კადროვის ძმა უკრაინაში). იხ.: https://www.youtube.com/watch?v=O8DE4SDT5fw&ab_channel=ABU-SADDAMSHISHANI
19. „Настоящее Время“ (2022). “Кадыров рассказал что его несовершеннолетние сыновья участвуют в войне в Украине” („კადროვის თქმით, მისი არასრულწლოვანი ვაჟები უკრაინის ომში მონაწილეობენ“). იხ.: <https://www.currenttime.tv/a/kadyrov-ego-nesovershennoletnie-synovyua-uchastvuyut-v-voynе/32092588.html>
20. Medialeaks (2022). „Вода, еда закончились, мы как в заложниках“ („წყალი, საჭმელი აღარ არის, მძევლებივით ვართ“). იხ.: <https://medialeaks.ru/2709rgg-str-sct-borders-georgia/>
21. „Кавказ.Реалии“ (2022). “Больше всего было Чеченцев, Ингушев и Дагестанцев” (ყველაზე მეტი რაოდენობით იყვნენ ჩეჩენები, ინგუშები და დაღესტნელები). იხ.: <https://www.kavkazr.com/a/boljshe-vsego-bylo-chechentsev-ingushey-i-dagestantsev-kto-i-kak-bezhal-ot-mobilizatsii-v-gruziyu/32073208.html>
22. „Настоящее Время“ (2022). “В Нальчике жители вышли на акцию против мобилизации” („ნალჩიკში მოსახლეობამ მობილიზაციის წინააღმდეგ აქცია გამართა“). იხ.: <https://www.currenttime.tv/a/v-nalchike-proshla-aktsiya-protiv-mobilizatsii/32052921.html>
23. „Кавказ.Реалии“ (2022). “Жители Кабардино-Балкарии вышли на стихийный митинг против мобилизации” (ყაბარდო-ბალყარეთის მოსახლეობა მობილიზაციის წინააღმდეგ გამართულ სპონტანურ აქციაში მონაწილეობდა). იხ.: <https://www.kavkazr.com/a/zhiteli-kabardino-balkarii-vyshli-na-stihiynyy-miting-protiv-mobilizatsii/32046483.html>
24. Gogov.ru (2022). “Смертность и рождаемость в Кабардино-Балкарии” (სიკვდილიანობა და შობადობა ყაბარდო-ბალყარეთში). იხ.: <https://gogov.ru/natural-increase/kbr#:~:text=Исход%20из%20последних%20доступных%20данных,чел.%3A%209%20436%20чел.>